ევროკავშირი საქართველოსთვის

აქციო
გავლენის ფონდი

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

გავლენის ფონდ აქციოს

ფოტო: სოციალური სანარმო "დადარი"

გავლენის ანგარიში

სექტემბერი • 2024

*დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" ფარგლებში, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი(CSRDG) Impact Europe-თან თანამშრომლობით ახორციელებს. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CSRDG და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

Impact Europe

Brot für die Welt

სარჩევი

აქციოს შესახებ	**1**
აქციოს ინვესტორები	**2**
აქციოს პორტფელი	**3**
სოციალური საწარმო „ბაბალე“	**4**
მართვის პროცესების გაუმჯობესება	5
სოციალური შედეგები	6
ეკონომიკური შედეგები	7
სოციალური საწარმო „ისტორიალი“	**8**
სოციალური შედეგები	9
ეკონომიკური შედეგები	10
სოციალური საწარმო „ჩემპი“	**11**
სოციალური შედეგები	12
ეკონომიკური შედეგები	13
სოციალური საწარმო „ტენე“	**14**
გარემოსდაცვითი შედეგები	16
ეკონომიკური შედეგები	16

#აქციე გავლენა ინვესტიციად

აქციოს შესახებ

გავლენის ფონდი „აქციო“ 2022 წელს დაფუძნდა **„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG)** მიერ.

„აქციო“ ფუნქციონირებს CSRDG-ის ქოლგის ქვეშ და არ წარმოადგენს ცალკე მდგომ იურიდიულ პირს. ოპერირების ამგვარი მოდელი „აქციოს“ შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს CSRDG-ის მიერ დაგროვებული ისეთი რესურსი, როგორიცაა ნდობა საზოგადოებასა და პარტნიორებს შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტები, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსი.

„აქციო“ დაფუძნდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის“ ფინანსური და ტექნიკური ხელშეწყობის შედეგად. მის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროექტის წამყვან განმახორციელებელ ორგანიზაციას „Impact Europe“, რომელიც მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევს აღმოსავლეთ ევროპაში სოციალური გავლენის მქონე ინვესტირების ეკოსისტემის განვითარებისათვის.

აქციოს მიზანია

შექმნას ხელშესახები, დადებითი სოციალური გავლენა სოციალურ საწარმოებთან, გავლენის ინვესტორებთან და პარტნიორებთან ერთად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მოწყვლადი ჯგუფების შრომითი ინტეგრაცია და განათლება, გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

2023-2027 წლებში

„აქციოს” ამბიციური გეგმაა

10 მდგრადი ბიზნეს მოდელის მქონე, სულ მცირე

გაძლიერება

სოციალური საწარმოს

როგორც ეკონომიკური,
ისე სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის თვალსაზრისით.

ⓘ წინამდებარე ანგარიში მოიცავს „აქციოს” საქმიანობას **2023 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

აქციოს ინვესტორები

სოციალური საწარმოების ფინანსური და ტექნიკური დახმარების შესაძლებლობას „აქციოს" ევროკავშირის დაფინანსება და ინვესტორების ფინანსური წვლილი აძლევს.

სოციალური საწარმოების დაფინანსებისთვის მობილიზებულია შემდეგი ფინანსურის რესურსი:

300 000 €
ევროკავშირი

108 000 €
გავლენის ინვესტორები

- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ემბისი"
- ნიკოლოზ ალავიძე
- Magic Foundation

9 000 €
გავლენის პარტნიორები

- ვლადიმერ საყვარელიძე

1 800 €
გავლენის მხარდამჭერები

- ქეთევან ჭითანავა
- მაია წერეთელი

მიმდინარე მდგომარეობით, „აქციოს" **მობილიზებული აქვს 7 სოციალური საწარმოს დაფინანსებისთვის საჭირო თანხა.**

418 800 €

2023-2027 წლებში დასახული მიზნების მისაღწევად, სულ მცირე, **10 სოციალური საწარმოს** მხარდასაჭერად

ჯამური საჭიროება

600 000 €

418 800 €

გავლენის ფონდის ბიუჯეტი მოიცავს სოციალური საწარმოების **დაფინანსების, ტექნიკური დახმარებისა და ადმინისტრირების ხარჯებს**.

ⓘ დარჩენილი თანხის მობილიზებისთვის „აქციო" აქტიურად აგრძელებს ინვესტორებთან კომუნიკაციას.

აქციოს პორტფელი

საანგარიშო პერიოდში, გავლენის ფონდმა „აქციომ“ **პორტფელში 4 სოციალური საწარმო აიყვანა**, ესენია: **ბაბალე, ისტორიალი, ტენე და ჩემპი**. მათი შერჩევა ორ ეტაპად განხორციელდა. თითოეული მათგანის შერჩევასთან დაკავშირებით, **გადაწყვეტილება საინვესტიციო კომისიამ მიიღო**.

საწარმოთა შერჩევის მესამე ეტაპი ჩატარდა 2024 წლის ზაფხულში. შედეგად, ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს **სოციალურ საწარმო „დადართან“**.

სოციალურ საწარმოებში

უკვე ინვესტირებულია 166 740.8 €

სოციალური საწარმო	სულ ფინანსური მხარდაჭერა	გრანტი	0% სესხი	ათვისებული თანხა
ბაბალე	49 706.42 €	39 915 €	9 791 €	35 954.3 €
ისტორიალი	49 817.53 €	39 817 €	10 000 €	38 886.5 €
ტენე	49 990 €	40 000 €	9 900 €	41 900 €
ჩემპი	50 000 €	40 000 €	10 000 €	50 000 €

სოციალურმა საწარმო „ბაბალემ“ უკვე მთლიანად დააბრუნა სესხი, ხოლო დანარჩენი 3 სოციალური საწარმო გრაფიკის მიხედვით აბრუნებს სესხის სახით მიღებულ თანხას.

საანგარიშო პერიოდში, „აქციოს“ მხარდაჭერით, სამიზნე სოციალურმა საწარმოებმა განავითარეს წარმოება, შექმნეს სრულიად ახალი პროდუქტი და მომსახურება, ასევე, გაამრავალფეროვნეს არსებული შეთავაზებები. ბიზნეს საქმიანობის განვითარება კი მათ სოციალურ და გარემოსდაცვით შედეგებზე დადებითად აისახა. მაგალითად:

- **ბაბალემ** შექმნა სრულიად ახალი პროდუქტი, კერამიკის წარმოების ხაზი და შედეგად, **წლიური შემოსავალი 24%-ით გაზარდა;**
- **ისტორიალმა** **განაახლა სახელოსნო**, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ლითონმქანდაკებლობის განვითარებას, პროფესიის პოპულარიზაციასა და შენარჩუნებას. საწარმომ, ასევე, შექმნა ორი ახალი კოლექცია: „თბილისის ხაზი“ და „მამაკაცის ხაზი“;
- **ტენემ** ყოველთვიურად **შეგროვებული პლასტმასას რაოდენობა 2-ჯერ გაზარდა**, 4 ტონიდან - 8 ტონამდე. ასევე, 2 000-დან 5 300-მდე გაიზარდა ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ახარისხებენ და აბარებენ პლასტმასას, ხოლო 200-დან 350-მდე - სკოლებსა და ორგანიზაციებში განთავსებული მწვანე ყუთების რაოდენობა.
- **ჩემპიმ** შეიძინა ახალი დანადგარები, რომლის შედეგადაც საწარმოს წლიური **წარმადობა 2.5-ჯერ გაიზარდა** - 146 016 ცალი ჩიფსიდან 356 354 ცალ ჩიფსამდე.



სოციალური საწარმო „ბაბალე“
შრომითი ინტეგრაციისა და განათლების ხელშეწყობა

სოციალური საწარმო „ბაბალე“ 2015 წელს შეიქმნა. „ბაბალეს” **მისიაა** დაუნის სინდრომის მქონე (დსმ) პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით.

სოციალურ საწარმოში მზადდება ხის, კერამიკისა და ტექსტილის როგორც დეკორატიული, ისე გამოყენებითი ნივთები. მასობრივი წარმოების პროდუქციიდან გამორჩეულია ბაბალეს წინდები და სამზარეულოს აქსესუარები.

“აქციოსთან” თანამშრომლობამდე “ბაბალეს” შექმნილი ჰქონდა მდგრადი ბიზნეს მოდელი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა წარმოების პროცესში ჩაერთო დაუნის სინდრომის მქონე პირები და ამასთანავე, მიღებული შემოსავლით დაეფინანსებინა დსმ პირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამები. “ბაბალეს” დასაქმებული ჰყავდა 15 ადამიანი, მათ შორის 3 დსმ პირი. არტ თერაპიის მომსახურებას კი იღებდა 8 დსმ ახალგაზრდა.

მიღწეული სტაბილური სოციალური და ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე, „ბაბალეს“ დამფუძნებლები მიიჩნევდნენ, რომ საწარმოს აქვს მასშტაბის ზრდის პოტენციალი, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური შედეგების თვალსაზრისით. კერამიკისა და ტექსტილის წარმოების პროცესში „ბაბალე“ იყენებდა პარტნიორი კომპანიების მიერ დამზადებულ მზა მასალას (მაგ. კერამიკის ნივთები, ნაჭრის ჩანთები), რომელიც საწარმოში იხატებოდა და იფუთებოდა. „აქციოსთან“ თანამშრომლობამ კი „ბაბალეს“ სრულიად ახალი პროდუქციისა და წარმოების ადგილზე განვითარების შესაძლებლობა მისცა. ახალ საწარმოო პროცესებში ჩართულობის შედეგად, „ბაბალეს“ სამიზნე დსმ ახალგაზრდებს მიეცათ სოციალური და პროფესიული უნარების განვითარებისა და დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობა, რასაც „ბაბალე“ „აქციოს“ მხარდაჭერით განვითარებული კომპლექსური და სისტემატიზებული „პროფორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის“ პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

01 მაისი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - 49 915.42 €
- სესხი - 9 791 €

აქციოს ფინანსური მხარდაჭერით, „ბაბალემ“ გააფართოვა საქმიანობის მასშტაბი, გააუმჯობესა საწარმოს მართვის პროცესები, გაამრავალფეროვნა არსებული პროდუქტი და განავითარა სრულიად ახალი პროდუქცია და მომსახურება. შედეგად, „ბაბალეს“ **შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა, რაც თავის მხრივ, აისახა მზარდ დადებით სოციალურ გავლენაში.**

კერძოდ, ბაბალემ:

- შექმნა წინდების ახალი კოლექცია და გაამრავალფეროვნა არჩევანი;
- მოაწყო კერამიკის სახელოსნო, რომელიც 2023 წლის შემოდგომაზე გაიხსნა და ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, ამოქმედებისთანავე სრულ დატვირთვაზე დაიწყო მუშაობა;
- „ბაბალემ“ განავითარა კერამიკის მასტერკლასების ფასიანი პროგრამა, რომელიც ძირითადად, სკოლის მოსწავლეთა ჯგუფებს ემსახურება. 2024 წელს ჩატარდა 67 მასტერკლასი, რომელშიც **1 340-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა**;
- მოწყობის პროცესშია ტექსტილის სახელოსნო, რომელიც „ბაბალეს“ წარმოების პროცესის სრულად ადგილზე განხორციელების შესაძლებლობას მისცემს.

მართვის პროცესების გაუმჯობესება

- “აქციოს” მხარდაჭერით შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია;
- “თიბისი ბანკის” მხარდაჭერით შემუშავდა ბაბალეს 2024-2025 ბიზნესის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- აუთსორსზე გავიდა საბუღალტრო მომსახურება;
- მიმდინარეობს წარმოებისა და მართვის პროცესების გაწერა და მოწესრიგება.

სოციალური შედეგები

“ბაბალეს” მენეჯმენტს გააზრებული ჰქონდა, რომ დსმ ახალგაზრდებისთვის დასაქმების ღირსებული შესაძლებლობების შესაქმნელად, მნიშვნელოვანი იყო მათი მხარდაჭერის სისტემური და კომპლექსური პროგრამის შემუშავება და განხორციელება. “აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად, „ბაბალემ“ შეიმუშავა დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების „პროფორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის“ ოთხსაფეხურიანი პროგრამა. პროგრამამ შესაძლებლობა მისცა საწარმოს, რომ კომპლექსურად და გეგმაზომიერად დაეწყო ისეთი სოციალური შედეგების მიღწევისკენ სვლა, როგორებიცაა: დსმ ახალგზრდების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა; დსმ ახალგაზრდების თავდაჯერებულობის ზრდა და ა.შ. **შედეგად, “ბაბალემ” სამიზნე დსმ ახალგაზრდების რაოდენობა 11-დან 24-მდე გაზარდა.** პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდები უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით, გადანაწილდნენ სხვადასხვა საფეხურზე. შედეგად ისინი იღებენ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებებს და ივითარებენ უნარებს, რომლებიც საჭიროა ყოველ შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად.

ამჟამად, “ბაბალეს” პროგრამის სხვადასხვა საფეხურში ჩართულია დაუნის სინდრომის მქონე 24 ახალგაზრდა.

- შემოქმედებითი საფეხური - **12 დსმ ახალგაზრდა**;
- წინაპროფესიული მომზადების საფეხური - **5 დსმ ახალგაზრდა;**
- სტაჟირების საფეხური - **5 დსმ ახალგაზრდა**;
- მხარდაჭერითი დასაქმების საფეხური - **2 დსმ ახალგაზრდა**.

დსმ ახალგაზრდების პროგრამის სხვადასხვა საფეხურზე გადანაწილებამ, “ბაბალეს” მათთან მუშაობის დროს, ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობა მისცა. დსმ ახალგაზრდები დასაქმებამდე 3 საფეხურს გადიან. თითოეული მათგანი უვითარებს მათ სხვადასხვა სოციალურ და შრომით უნარს. აღნიშნული პროგრამის განვითარების შემდეგ, დასაქმებული დსმ ახალგაზრდების რაოდენობა არ გაზრდილა, რადგან ახალგაზრდები ჯერ პროგრამის პირველ სამ საფეხურს გადიან. **ამჟამად, ბაბალეში მუშაობს 2 დსმ ახალგაზრდა, ხოლო 1-მა დასაქმების ახალი შესაძლებლობა იპოვა “ბაბალეს” გარეთ.**

„პროფორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის“ პროგრამაში ჩართვის შედეგად

დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების

- აკადემიური უნარები გაუმჯობესდა - **60%-ით**
- **50%** იყენებს “ბაბალეში” შეძენილ უნარებს საწარმოს გარეთ
- თავდაჯერებულობა გაიზარდა - **40%-ით**

- ბაბალეს ახალგაზრდები გაეცნენ 9 ახალ პროფესიას;
- 6-მა ახალგაზრდამ სცადა ახალი პროფესია, ხოლო ორმა, პროფესიულ კოლეჯში დაიწყო სწავლა;
- 2 ახალგაზრდა სტაჟირებას “ბაბალეს” გარეთ, ბიზნეს კომპანიებში გადის.

2023 წელს “ბაბალემ” მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა: გახდა “თიბისი ბანკის” ბიზნეს დაჯილდოების გამარჯვებული ნომინაციაში “გამორჩეული სოციალური პასუხისმგებლობისთვის”.

ეკონომიკური შედეგები

კერამიკის წარმოების დაწყების შედეგად, „ბაბალეს“ წლიური შემოსავალი 2022 წელთან (296 944 ლარი) შედარებით, 2023 წელს **24%-ით გაიზარდა** და **368 000 ლარი შეადგინა**, რაც მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს შემოსავლების თვალსაზრისით. 2024 წლის ზაფხულში ბაბალეს, უკვე, დაწყებული აქვს საახალწლო შეკვეთებზე მუშაობა და 2024 წლის ბოლოსთვის შემოსავლების კიდევ უფრო მეტად ზრდას მოელის.



სოციალური საწარმო „ისტორიალი“

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და განათლება

სოციალური საწარმო „ისტორიალი“ 2000 წელს დაფუძნდა. სოციალური საწარმოს **მისიაა** ქართული კულტურის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის სექტორის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. „ისტორიალი“ სამკაულის, დეკორატიული და სასაჩუქრე პროდუქციის შექმნით საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას აცნობს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ადამიანებს.

„აქციოსთან“ თანამშრომლობამდე „ისტორიალი“ პროდუქციის ძირითად ნაწილს სხვადასხვა პარტნიორ ოსტატთან, აუთსორსზე აწარმოებდა. ამ მოდელით მუშაობა, საწარმოს არ აძლევდა წარმადობის გაზრდის და ამასთან ერთად, ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას. მიუხედავად არსებული პოტენციალისა და ბაზარზე მოთხოვნისა, არსებული სახელოსნო (მნიშვნელოვნად გასარემონტებელი და მოსაწესრიგებელი სამი მცირე ზომის ოთახი), წარმოების გაზრდის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამასთანავე, „ისტორიალი“ ხედავდა სოციალური შედეგების გაზრდისა და გამრავალფეროვნების პოტენციალს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად, საწარმომ მიზნად დაისახა ლითონმქანდაკებლობის, როგორც უძველესი პროფესიის პოპულარიზაცია, შესატყვისი პრაქტიკის და საგანმანათლებლო მასტერკლასების შეთავაზებით.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

27 აპრილი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - 39 817.53 €
- სესხი - 10 000 €

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ისტორიალმა“ **გაარემონტა, მოაწყო და გადააიარაღა საიუველირო სახელოსნო**. განახლებული სახელოსნო ისტორიალს შესაძლებლობას აძლევს, გაზარდოს ლითონის ნაკეთობების ადგილზე წარმოება და ხელი შეუწყოს ლითონზე მომუშავე ოსტატების პროფესიულ განათლებასა და გაძლიერებას. ამასთანავე, „აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად და თბილისის მერიისგან მოპოვებული დამატებითი დაფინანსებით, „ისტორიალმა“ გაამრავალფეროვნა პროდუქცია, **შექმნა ორი ახალი კოლექცია „თბილისის ხაზი“ და „მამაკაცის ხაზი“**.

2024 წლის გაზაფხულზე, “აქციოს” ხელშეწყობით, ისტორიალმა **განაახლა ბრენდბუქი და შეიმუშავა მარკეტინგისა და კომუნიკაციის სტრატეგია**, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი მომხმარებლების მოზიდვასა და გაყიდვების მაჩვენებლის ზრდაში. სტრატეგიის განხორციელების დაწყება 2024 წლის სექტემბრიდან იგეგმება.

სოციალური შედეგები

ქართული, ტრადიციული, ლითონმქანდაკებლობის ხელობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით, „ისტორიალმა“ **შეიმუშავა პრაქტიკის კურსი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის** და 2024 წლის მეორე ნახევრიდან ელოდება სტუდენტების მიღებას. საწარმომ, აგრეთვე განავითარა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მასტერკლასების პროგრამა. საპილოტედ, უკვე, **ჩატარდა 2 უფასო მასტერკლასი** მხატვრული რეწვის კვირეულის ფარგლებში. 2024 წლის სექტემბრიდან კი ემზადება ლითონის დამუშავების ფასიანი მასტერკლასების მასპინძლობისთვის, რაც „ისტორიალს“ შესაძლებლობას მისცემს, ადგილობრივ მოსახლეობას და უცხოელ ვიზიტორებს მეტი

ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

„აქციოსთან“ პარტნიორობამდე „ისტორიალში“ დასაქმებული იყო 2 ოსტატი, 3-თან კი აუთსორსზე თანამშრომლობდა. საანგარიშო პერიოდში, ორივე მაჩვენებელი ერთით გაიზარდა და ამჟამად, სოციალური საწარმო ასაქმებს 3 ოსტატს, ხოლო 4 ოსტატთან თანამშრომლობას აუთსორსზე აგრძელებს. **„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად**, „ისტორიალმა“ უკვე გადაამზადა 2 ოსტატი ქალი, რომელთა დასაქმებაც 2024 წლის მეორე ნახევრიდან გეგმავს.

„აქციოსთან“ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისა და მომხმარებლების შოურუმში მასპინძლობის შედეგად, „ისტორიალმა“ **5 000-მდე ადამიანს მიაწოდა ინფორმაცია** ქართული კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიისა და ტრადიციების შესახებ.

ეკონომიკური შედეგები

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად, 2022 წელთან შედარებით (141 167.2 ლარი), 2023 წელს “ისტორიალის” **შემოსავალი მცირედით გაიზარდა და 143 597 ლარი შეადგინა.** იქიდან გამომდინარე, რომ სახელოსნოს რემონტი 8 თვის მანძილზე მიმდინარეობდა, 2023 წლის ფინანსური მაჩვენებლები დადებითად შეფასდა.

ასევე, აღსანიშნი ფაქტია, რომ „ისტორიალმა“ განაახლა ნაკეთობების ექსპორტზე გატანის შესაძლებლობების მოსინჯვა და 2024 წლის ივნისში, საერთაშორისო ექსპორტიორთან პარტნიორობით, საცდელი პარტია აშშ-ში გაგზავნა.

სოციალური საწარმო „ჩემპი“

შრომითი ინტეგრაცია და განათლება; გარემოს დაცვა

„ჩემპი“ 2016 წელს დაფუძნდა. საწარმო **ზრუნავს** გორის რაიონში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე ინოვაციური ჯანსაღი სასუსნავების, ვაშლის ჩიფსების წარმოების გზით. **„ჩემპი“ ხელს უწყობს**, ერთი მხრივ, სოფელ დიცში და მიმდებარედ მცხოვრები ქალების დასაქმებას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვით, ფერმერული მეურნეობების განვითარებას. ამასთანავე, საწარმო აქტიურად მუშაობს უნარჩენო წარმოების განვითარების მიმართულებით, რომლის მაგალითს „ჩემპის“ გამორჩეული პროდუქტი „ცმაცი“ წარმოადგენს.

„ჩემპი“ არის სოციალური საწარმო, რომელსაც შემუშავებული აქვს ვაშლის შრობის უნიკალური მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი და ხრაშუნა ჩიფსისა და

„ჩემპი“ ასაქმებს სოფელ დიცში მცხოვრებ 13 ქალს და თანამშრომლობს დიცსა და მიმდებარედ მცხოვრებ 6 ფერმერთან.

საწარმოს ფუნქციონირება ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას და დიცისა და მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას.

დაფუძნების დღიდან, „ჩემპის“ წარმოებისა და გაყიდვების მაჩვენებელი იზრდებოდა, თუმცა, ბოლო წლებში, საწარმოს წარმადობა ვეღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. წარმადობის ზრდა „ჩემპის“ განვითარების, ეკონომიკური და სოციალური შედეგების ზრდის წინაპირობად გამოიკვეთა.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

2 ნოემბერი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - 40 000 €
- სესხი - 10 000 €

„აქციოს“ ფინანსური მხარდაჭერით, „ჩემპი“ გაზრდის საწარმოს წარმადობას, რაც შემდგომში შემოსავლებსა და სოციალურ შედეგებზე აისახება. საანგარიშო პერიოდში, „ჩემპიმ“ გადააიარაღა საწარმო - **შეიძინა, ააწყო და დაამონტაჟა ახალი საწარმოო დანადგარი**. დანადგარის მონტაჟი 2024 წლის ივნისში დასრულდა.

სოციალური შედეგები

წარმადობის გაზრდის შემდეგ, „ჩემპი“ ეტაპობრივად გაზრდის დასაქმებული ქალებისა და პარტნიორი ფერმერების რაოდენობას. აღსანიშნია, რომ „ჩემპი“ პარტნიორ ფერმერებს მხარს უჭერს როგორც ვაშლის შესყიდვით, ასევე საკონსულტაციო მომსახურების გაწევით სოფლის მეურნეობის საკითხებში. „აქციოსთან“ თანამშრომლობის პერიოდში, „ჩემპიმ“ **კონსულტაცია გაუწია 9 ფერმერს** თემაზე - მალფუჭებადი ნედლეული და მისი გადამუშავება.

რაც შეეხება გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირებას, საანგარიშო პერიოდში „ჩემპიმ“ „ცმაცის“ წარმოების მიზნით გადაამუშავა 7 ტონა ნარჩენი ვაშლი.

ჯამურად, სოციალურმა საწარმომ

11.5 ტონა ვაშლის ნარჩენის გადამუშავება უზრუნველყო

ეკონომიკური შედეგები

იქიდან გამომდინარე, რომ აქციოსთან კონტრაქტი 2023 წლის ბოლოს გაფორმდა, ხოლო, ახალი დანადგარების მონტაჟი საწარმოში 2024 წლის 10 ივნისს დასრულდა, „ჩემპის“ ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა 2022 და 2023 წლებთან შედარებით ჯერ არ დაფიქსირებულა. 2024 წლის სექტემბრიდან ამუშავდება ახალი დანადგარი, შედეგად:

„ჩემპის“ ვაშლის ჩიფსების
წარმოება გაიზრდება 2.5-ჯერ

146 016 ცალი → **356 354 ცალი**

მიუხედავად იმისა, რომ ახალი დანადგარის შესყიდვასა და მონტაჟს 2024 წლის პირველი ნახევარი სრულად დაეთმო, ამავე პერიოდში **საწარმომ გაზარდა პროდუქციის გაყიდვის წერტილების რაოდენობა** საქართველოში:

- სკა ჯუს ბარი;
- ტერმინალი;
- გალფ სთორი;
- კერძო სკოლები (ბაქსვუდის სკოლა, იუჯი სკოლა, ქართულ-ამერიკული სკოლა, ამერიკული აკადემია).

„ჩემპის“ მიზანია წარმადობის ზრდასთან ერთად, რაც შეიძლება მეტად აითვისოს საექსპორტო ბაზრები. 2024 წელს საწარმომ **მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო გამოფენაში:**

- „მწვანე კვირეული 2024“ - ბერლინი;
- AMSTERDAM PRIVATE LABEL TRADE SHOW 2024 - ამსტერდამი.

ამჟამად, პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით, **მოლაპარაკებები 6 საერთაშორისო კომპანიასთან** მიმდინარეობს.

სოციალური საწარმო „ტენე“

გარემოს დაცვა და განათლება

„ტენე“ 2021 წელს დაფუძნდა და **მიზნად** გარემოს პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაისახა. „ტენე“ პირველი, ქართული, USB კაბელის ეკომეგობრული საწარმოა, რომელიც წარმოების პროცესში, ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტმასას იყენებს. USB კაბელების წარმოებასთან ერთად, „ტენე“ მუდმივად მუშაობს გარემოს დაცვის ხელშემწყობი ინოვაციური პროდუქტების განვითარებაზე, როგორიცაა ჭიქების კოლექტორი, ბოთლის უკუვენდინგ აპარატი და ა.შ.

„აქციოსთან“ პარტნიორობამდე, პლასტმასას შეგროვების სქემა „ტენეს“ აწყობილი ჰქონდა მხოლოდ თბილისის მასშტაბით და თვეში, საშუალოდ, 4 ტონა პლასტმასას აგროვებდა.

წარმოების პროცესში ტენე პლასტმასას ბოთლების თავსახურებს იყენებს, დანარჩენ ნედლეულს კი პარტნიორ ქარხანაში აბარებს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ არის დანერგილი პლასტმასას სეპარირების, შეგროვებისა და გადამუშავების ერთიანი სახელმწიფო სისტემა, „ტენეს“ როლი გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებაში განსაკუთრებით მაღალია. გარემოს ნარჩენებისგან გათავისუფლებასთან ერთად, „ტენე“ ქარხანაში დამონტაჟებული მზის პანელების საშუალებით ხელს უწყობს CO_2-ის შემცირებას. საერთო ჯამში, საწარმომ 75 ტონა CO_2-ის ემისიისგან დაიცვა გარემო.

გარემოსდაცვით შედეგებთან ერთად, „ტენე“ ხელს უწყობს მოწყვლადი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. საწარმოს ქარხანა მდებარეობს წეროვნის დევნილთა დასახლებაში, შესაბამისად, **„ტენეში“ დასაქმებული 17 ადამიანიდან, 11 რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომით დაზარალებული, იძულებით გადაადგილებული პირია**.

გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით ჩატარებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების შედეგად, პლასტმასას ჩაბარებაზე მოთხოვნა გაჩნდა არამარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც, თუმცა, „ტენეს“ თბილისიდან მოშორებით, პლასტმასას შეგროვების რესურსი არ გააჩნდა. „აქციოსა“ და „ტენეს“ პარტნიორობის მთავარ მიზნად, სწორედ, პლასტმასას შეგროვების მასშტაბის ზრდა და შეგროვების მდგრადი სქემების განვითარება ჩამოყალიბდა.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

28 სექტემბერი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - 40 000 €
- სესხი - 9 990 €

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ტენე“ გააფართოებს პლასტმასას შეგროვების არეალს და გაზრდის ნარჩენის შეგროვებისა და გადამუშავების რაოდენობას. რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს USB კაბელების წარმოების რაოდენობის ზრდასა და პლასტმასას პარტნიორ ქარხანაში ჩაბარებით, მიღებული შემოსავლის ზრდას.

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ტენემ“ 2024 წლის პირველ ნახევარში შეისყიდა საბარგულიანი ავტომობილი, 3D პრინტერი და 6 პრესის აპარატი. დაგეგმილია კიდევ ერთი ავტომობილის შესყიდვა. შედეგად, ტენე შეძლებს პლასტმასას ჩაბარების პუნქტების მოწყობას საქართველოს მასშტაბით, სადაც შესაძლებელი იქნება შეგროვებული პლასტმასას დაპრესვა, ეკონომიურად დასაწყობება და ტრანსპორტირება „ტენესა“ და პლასტმასას გადამამუშავებელ პარტნიორ ქარხანაში. ამჟამად, 2 პრესი განთავსებულია თბილისსა და წეროვანში, ოთხის განთავსება კი იგეგმება თელავში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში 2024 წლის ბოლომდე.

2023 წელს “ტენემ” მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა: “თიბისი ბანკის” ბიზნეს დაჯილდოების ფარგლებში სპეციალური ჯილდო “მწვანე ინიციატივისთვის”მიიღო.

გარემოსდაცვითი შედეგები

„აქციოსთან“ თანამშრომლობის პერიოდში, „ტენემ“ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პლასტმასას შეგროვების და გადამუშავების მაჩვენებლები:

2 000-დან 5 300-მდე
გაიზარდა
ადამიანების რაოდენობა, რომლებიც აგროვებენ და აბარებენ პლასტმასას.

10 კამპანია და ღონისძიება
ჩატარდა
ცნობიერების ასამაღლებლად, რომელშიც 500-მდე ადამიანმა (მათ შორის, სკოლის მოსწავლეებმა) მიიღო მონაწილეობა.

2 ჯერ, 4-დან 8 ტონამდე
გაიზარდა
ყოველთვიურად შეგროვებული პლასტმასას რაოდენობა.

2 00-დან 350-მდე
გაიზარდა
სკოლებსა და ორგანიზაციებში განთავსებული მწვანე ყუთების რაოდენობა, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული დაწესებულებები აგროვებენ პლასტმასას.

10,000-ზე მეტმა ადამიანმა
ონლაინ სივრცეში მიიღო ინფორმაცია
გარემოსდაცვით საკითხებზე.

55.6 ტონა პლასტმასა შეგროვდა

200 კგ. პლასტმასა
გადამუშავდა
„ტენეს“ ქარხანაში, ხოლო პარტნიორ ქარხანაში 15.6 ტ.

ჯამურად
დაფუძნების დღიდან
სოციალურმა საწარმომ

პლასტმასა

83 ტონა
შეაგროვა

40 ტონა
გადაამუშავა

დარჩენილი პლასტმასა დასაწყობებულია და პერიოდულად ხარისხდება, იპრესება და ნაწილდება „ტენესა“ და პარტნიორ ქარხნებში გადასამუშავებლად. საქართველოს რეგიონებში ჩაბარების პუნქტების მოწყობის შემდგომ, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

ეკონომიკური შედეგები

იქიდან გამომდინარე, რომ „აქციოსთან“ კონტრაქტი 2023 წლის შემოდგომაზე გაფორმდა, ხოლო, ახალი ავტომობილი და პრესის დანადგარები ტენემ 2024 წლის გაზაფხულზე შეიძინა, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა ჯერ არ დაფიქსირებულა. ამას თან დაერთო, ქარხანაში ჩასაბარებელი პლასტმასას ფასის ვარდნა. მიუხედავად ამისა, „ტენე“ აქტიურად აგრძელებს გარემოსთვის პლასტმასას ნარჩენით მიყენებული ზიანის შემცირებაზე ზრუნვას, რაც „აქციოსთან“ თანამშრომლობის პერიოდში, მიღწეულ გარემოსდაცვით შედეგებშია ასახული. **ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას „ტენე“ შემდეგი 1-1.5 წლის მანძილზე მოელის.**

©ფოტო: ევროკავშირის რეგიონული საკომუნიკაციო პროექტი EU NEIGHBOURS east



#აქციე გავლენა ინვესტიციად

ფონდის მმართველი ორგანიზაცია:
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - CSRDG

იოველ ჯებაშვილის I გასახვევი #5,0177, თბილისი, საქართველო

+(995)32-239-90-19

office@csrdg.ge, actio.impactfund@gmail.com

https://actio.ge/, https://csrdg.ge/

https://www.facebook.com/CSRDG, https://www.facebook.com/impactfundactio